



2021 წ.

# 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ყოველთვიური მიმოხილვა (იანვარი)

ბიუჯეტის ანალიზის განყოფილება

ელ-ფოსტა: [pbo@parliament.ge](mailto:pbo@parliament.ge)



საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი


პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბილისი, 2021 წ.

# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 16,758.1 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო გადასახდელების გეგმა - 18,384.5 მლნ ლარის ოდენობით. 2021 წლის იანვარში შემოსულობების შესრულება შეადგენს 1,182.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 7.1%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 0.1 მლნ ლარით ჩამორჩება, ხოლო გადასახდელების შესრულება - 1,280.8 მლნ ლარს (წლიური გეგმის 7.0%) და 221.9 მლნ ლარით (21.0%-ით) აჭარბებს წინა წლის იანვრის მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების წლიური გეგმებისა და 1 თვის შესრულების მაჩვენებლები.

2012-2021 წწ. შემოსულობებისა და გადასახდელების 1 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით



დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების 1 თვის შესრულების მაჩვენებლები წლიურ გეგმებთან მიმართებით 2012-2021 წლებში (მლრდ ლარი, %).

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია<sup>1</sup> 4,408.8 მლნ ლარით, ხოლო 1 თვის შესრულება 26.8%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ შესრულების კარგი დონით გამოირჩევა შემოსავლების კომპონენტის მაჩვენებელი, რაც 3 თვის გეგმის 36.1%-ს შეადგენს. შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების კლებისა და ვალდებულებების ზრდის კომპონენტების მაჩვენებლები და შესაბამისად შეადგენს 3 თვის გეგმის 1.3%-ს და 6.9%-ს. რაც შეეხება შემოსულობების მეოთხე კომპონენტს, ფინანსური აქტივების კლებას, იანვარში აღნიშნული კომპონენტის შესრულებამ 3 თვის გეგმის 103.6% შეადგინა.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა შეადგენს 4,302.4 მლნ ლარს, ხოლო 1 თვის შესრულება - 3 თვის გეგმის 29.8%-ს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 29.3%-ს უტოლდება. შესრულების კარგი დონით გამოირჩევა ვალდებულებების კლებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტების მაჩვენებლები და შესაბამისად შეადგენს 3 თვის გეგმის 41.7%-ს და 32.9%-ს. რაც შეეხება გადასახდელების მეოთხე კომპონენტს, ფინანსური აქტივების ზრდას, აღნიშნული კომპონენტის შემთხვევაში ფიქსირდება მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრა - 3 თვის გეგმის 6.0%.


<sup>1</sup> საქართველოს 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №333 ბრძანება.

დასახელება	2021 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის შესრულება	1 თვე/3 თვის გეგმა	დასახელება	2021 წლის გეგმა	3 თვის გეგმა	1 თვის შესრულება	1 თვე/3 თვის გეგმა
შემოსულობები	16,758.1	4,408.8	1,182.5	26.8%	გადასახდელები	18,384.5	4,302.4	1,280.8	29.8%
შემოსავლები	11,179.2	2,954.5	1,066.9	36.1%	ხარჯები	12,758.3	3,462.6	1,013.1	29.3%
არაფინანსური აქტივების კლება	150.0	32.0	0.4	1.3%	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,416.9	429.1	141.2	32.9%
ფინანსური აქტივების კლება	150.0	18.1	18.8	103.6%	ფინანსური აქტივების ზრდა	402.7	125.7	7.5	6.0%
ვალდებულებების ზრდა	5,278.9	1,404.2	96.5	6.9%	ვალდებულებების კლება	2,806.6	285.0	118.9	41.7%

ცხრილი 1: 2021 წლის 1 თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების შესრულება კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი, %).

2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ<sup>2</sup> 1 თვეში შეადგინა 53.9 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ<sup>3</sup> - -87.0 მლნ ლარი. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2012-2021 წლების 1 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

2012-2021 წლების 1 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო



დიაგრამა 2: 2012-2021 წლების 1 თვის საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო (მლნ ლარი)


რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაბუსტებული ნაშთის მოცულობამ შეადგინა 2,311.4 მლნ ლარი. იანვარში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის გამოყენებამ 98.2 მლნ ლარი შეადგინა და 2021 წლის 1 თებერვლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 2,213.1 მლნ ლარის ოდენობით.

<sup>2</sup> საოპერაციო სალდო წარმოადგენს შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობას. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე.  
<sup>3</sup> მთლიანი სალდო წარმოადგენს საოპერაციო სალდოს გამოკლებული არაფინანსური აქტივების ცვლილება და გვინგენებს ბიუჯეტის პროფიციტის (დადებითი სიდიდე) ან დეფიციტის (უარყოფითი სიდიდე) მოცულობას.

# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2021 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 1,182.5 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 90.2%-ის ოდენობით, მოდის შემოსავლებზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში 2019-2020 წლებთან შედარებით მომატებულია, რაც დაკავშირებულია გრანტებისა და სხვა შემოსავლების ზრდასთან. რაც შეეხება შემოსავლების წილს შემოსულობებში, ეს მაჩვენებელიც წინა წელთან შედარებით გაზრდილია (2020 წელს შემოსავლების წილი შემოსულობებში შეადგენდა 76.9%-ს). ვალდებულებების ზრდის მუხლის მაჩვენებელი კი, წინა წელთან შედარებით შემცირებულია როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად მთლიან შემოსულობებში. კერძოდ, 2021 წლის 1 თვეში ვალდებულებების ზრდა შემოსულობების 8.2%-ს შეადგენს, ხოლო, 2020 წელს - 21.5%-ს. მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (წინა წლების მსგავსად), მთლიან შემოსულობებში არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების მუხლებით მიღებული შემოსულობების ჯამური წილი მცირეა და 1.6%-ს შეადგენს (ეს მაჩვენებელი 2020 წელს 1.6%-ს, ხოლო 2019 წელს 0.5%-ს შეადგენდა).

2019–2021 წწ. 1 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით




დიაგრამა 3: 2019-2021 წწ. 1 თვის შემოსულობები კომპონენტების მიხედვით (მლნ ლარი)

შემოსავლების სახით იანვარში მიღებულია 1,066.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 36.1% და წლიური გეგმის<sup>4</sup> 9.5%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 157.9 მლნ ლარით (17.4%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტებისა და სხვა შემოსავლების მაჩვენებლები, როგორც 3 თვის, ისე წლიური გეგმის მიმართ, მნიშვნელოვანი დადებითი გადახრით გამოირჩევა.

იანვარში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 834.6 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 31.5%-ს და წლიური გეგმის 8.1%-ს შეადგენს, რაც უკავშირდება საშემოსავლო გადასახადისა (3 თვის გეგმის 40.1%) და აქციზის (3 თვის გეგმის 36.6%) მობილიზების მაღალ მაჩვენებლებს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 35.1 მლნ ლარით (4.0%-ით) არის შემცირებული. აღნიშნული კლება ძირითადად განპირობებულია საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების, შესაბამისად 16.8%-იანი და 13.7%-იანი შემცირებით. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადის კლება დაკავშირებულია ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 58.7 მლნ ლარით (16.7%-ით) შემცირებასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარში დღგ-ს სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 293.8 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 46.6 მლნ ლარით ნაკლები, რაც ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან დღგ-ს 32.0%-იან (45.3 მლნ ლარით) შემცირებასთან. (იმპორტირებული პროდუქციიდან დღგ შემცირდა 0.6%-ით, 1.2 მლნ ლარით). წინა წელთან შედარებით გაზრდილია (13.3 მლნ ლარით) აქციზის სახით მიღებული შემოსავალი, რაც ძირითადად გამოწვეულია იმპორტირებული პროდუქციიდან, კერძოდ, იმპორტული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლების (14.4 მლნ ლარით) 147.8%-იანი ზრდით.

<sup>4</sup> წლიური გეგმა წარმოადგენს „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დამტკიცებულ გეგმას.



დიაგრამა 4: 2020-2021 წწ. 1 თვის გადასახადები სახეების მიხედვით (მლნ ლარი)

**გრანტების** ფაქტობრივი მარვენებელი (168.8 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა, 3 თვის გეგმის 89.3%-ს და წლიური გეგმის 58.8%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან, რომლის სახით იანვარში ბიუჯეტში უკვე მიღებულია 3 თვის გეგმით გათვალისწინებულ მარვენებელზე 6.6 მლნ ლარით მეტი (163.6 მლნ ლარი). ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, საინვესტიციო გრანტები 1.0 მლნ ლარის ოდენობით. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 4.1 მლნ ლარის ოდენობით.

**სხვა შემოსავლების** სახით იანვარში ბიუჯეტში მობილიზებულია 63.5 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 56.4% და წლიური გეგმის 11.6%, ძირითადი შემოსავალი (72.5%-ის ოდენობით) მიღებულია საკუთრებიდან (კერძოდ, პროცენტის სახით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (16.5%).

რაც შეეხება შემოსულობების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების კლების** მუხლით მიღებული შემოსულობები (0.4 მლნ ლარი) შესრულების დაბალი დონით გამოირჩევა, რაც 3 თვის გეგმის 1.3%-ს და წლიური გეგმის 0.3%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით მიღებული შემოსულობების დიდი წილი მოდის ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსულობებზე.

**ფინანსური აქტივების კლების** მუხლით შემოსულობების სახით იანვარში უკვე მიღებულია 18.8 მლნ ლარი, 3 თვის გეგმაზე 3.6%-ით მეტი (წლიური გეგმის 12.5%), რაც მთლიანად მოდის გაცემული სესხების დაბრუნებიდან მიღებულ სახსრებზე.

**ვალდებულებების ზრდის** მუხლით შემოსულობების სახით იანვარში ბიუჯეტში ჩაირიცხა 96.5 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 6.9% (წლიური გეგმის 1.8%), თანხები მიღებულია საგარეო დაფინანსების წყაროდან. კერძოდ, ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების სახით ბიუჯეტში მიღებულია 371.8 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 33.3%, ხოლო საინვესტიციო კრედიტების სახით - 3 თვის გეგმის 9.3% (26.8 მლნ ლარი).

	1 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>96.5</b>	<b>6.9%</b>	<b>1.8%</b>
საგარეო საბიუჯეტო კრედიტები	398.6	28.4%	7.6%
საინვესტიციო კრედიტები	371.8	33.3%	9.7%
საშინაო	26.8	9.3%	1.8%
საშინაო	-302.2		


ცხრილი 2 : 2021 წლის 1 თვეში ვალდებულებების ზრდის მუხლით მიღებული შემოსულობა (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მარვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ -302.2 მლნ ლარი შეადგინა.

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2021 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 1,280.8 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 79.1%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში 2019-2020 წლებთან შედარებით მკვეთრად გაზრდილია, ხოლო მისი წილი მთლიან გადასახდელებში, 2019-2020 წლებთან შედარებით, მცირედით შემცირებულია. კერძოდ, 2020 წლის იანვარში ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 81.1%-ს, ხოლო 2019 წლის იანვარში - 79.3%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას. 2021 წლის იანვარში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 11.0% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 0.6% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 9.3%. 2020 წლის იანვარში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 8.8%-ის, 0.4%-ის და 9.6%-ის ოდენობებით. ხოლო, 2019 წლის იანვარში - 12.4%-ის, 0.6%-ის და 7.6%-ის ოდენობებით.

2019-2021 წწ. 1 თვის გადასახდელები კომპონენტების მიხედვით



დიაგრამა 5: გადასახდელების კომპონენტების შესრულებები 2019-2021 წლების იანვარში (მლნ ლარი)

**ხარჯების** შესრულებამ იანვარში შეადგინა 1,013.1 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 29.3% და წლიური გეგმის 7.9%, რაც 2020 წლის მაჩვენებელზე 154.1 მლნ ლარით (17.9%) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, პროცენტის გარდა ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფისა (64.1 მლნ ლარი) და სხვა ხარჯების (51.2 მლნ ლარი) მუხლებზე. 3 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (48.2%), შრომის ანაზღაურების (32.4%), სხვა ხარჯებისა (30.7%) და სოციალური უზრუნველყოფის (29.9%) მუხლები. პროცენტის მუხლის შესრულებიდან (100.5 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 77.8 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 22.4 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (436.8 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (324.5 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (94.7 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (15.0 მლნ ლარი). 3 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების შედარებით დაბალი დონით გამოირჩევა გრანტების (22.3%), სუბსიდიებისა (21.8%) და საქონელი და მომსახურების (20.6%) მუხლები.



დიაგრამა 6: 2020-2021 წწ. 1 თვის ხარჯები მუხლების მიხედვით (მლნ ლარი)

რაც შეეხება გადასახდელების სხვა დანარჩენი კომპონენტების შესრულებას:

**არაფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულება (141.2 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით გამოირჩევა, რაც 3 თვის გეგმის 32.9%-ს და წლიური გეგმის 5.8%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების დიდი წილი მოდის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (44.1 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (37.0 მლნ ლარი), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (25.8 მლნ ლარი) და რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (10.8 მლნ ლარი).

3 თვის გეგმის მიმართ მნიშვნელოვანი უარყოფითი გადახრით ხასიათდება **ფინანსური აქტივების ზრდის** კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (7.5 მლნ ლარი), რაც 3 თვის გეგმის 6.0%-ს და წლიური გეგმის 1.9%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელების ძირითადი წილი მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EIB, EBRD) (პროგრამული კოდი 24 13)“ ფარგლებში გაცემულ სესხებზე 3.0 მლნ ლარის ოდენობით და ამავე სამინისტროს „სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარების“ პროგრამის (პროგრამული კოდი 24 14) ფარგლებში გაცემულ სესხებზე 4.3 მლნ ლარის ოდენობით.

**ვალდებულებების კლების** მუხლის მაჩვენებელი (118.9 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით გამოირჩევა 3 თვის გეგმასთან მიმართებით და მის 41.7%-ს შეადგენს. ხოლო, წლიურ გეგმასთან მიმართებით კი - 4.2%-ს. აღნიშნული მაჩვენებლის დიდი წილი, 97.3 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	1 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>118.9</b>	<b>41.7%</b>	<b>4.2%</b>
საგარეო	97.3	35.7%	3.5%
საშინაო	21.7	168.7%	50.6%


ცხრილი 3: ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება 2021 წლის 1 თვეში (მლნ ლარი, %)

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული **საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების** შესრულებას, იანვარში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 197.5 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 40.3% და წლიური გეგმის 5.3%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 16.3 მლნ ლარი, საიდანაც 6.6 მლნ ლარი წარმოადგენს კაპიტალურ ტრანსფერს, 8.6 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 1.0 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს. იანვარში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიმართა 15.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 6.6 მლნ ლარის და 0.1 მლნ ლარის ათვისება.

იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ **ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის<sup>5</sup>** მიხედვით შეადგინა 1,154.3 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 29.7% და წლიური გეგმის 7.6%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:

<sup>5</sup> საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სახელმძღვანელოს 2014 (GFSM 2014) მიხედვით ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია წარმოგვიდგენს ინფორმაციას სამთავრობო ფუნქციებისა და მიზნების მიხედვით განეული დახარჯების შესახებ.

2021 წლის 1 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების  
ფუნქციონალური კლასიფიკაცია



დიაგრამა 7: 2021 წლის 1 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია (მლნ ლარი).

გამოყენებული მონაცემების წყარო:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია საქართველოს 2012-2021 წლების იანვარის თვის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ინფორმაცია 2020-2021 წლების იანვრში საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების შესახებ.

# დანართები

## დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2019 წლის 1 თვის შემოსულობა	2020 წლის 1 თვის შემოსულობა	2021 წლის წლიური გეგმა	2021 წლის 3 თვის გეგმა*	2021 წლის 1 თვის შემოსულობა	2021 წლის 1 თვის შემოსულობა / 2021 წლის 3 თვის გეგმა		2021 წლის 1 თვის შემოსულობა / 2020 წლის 1 თვის შემოსულობა		2021 წლის 1 თვის შემოსულობა წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსულობები</b>	<b>939.2</b>	<b>1,182.6</b>	<b>16,758.1</b>	<b>4,408.8</b>	<b>1,182.5</b>	<b>-3,226.3</b>	<b>26.8%</b>	<b>-0.1</b>	<b>0.0%</b>	<b>7.1%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>973.6</b>	<b>909.0</b>	<b>11,179.2</b>	<b>2,954.5</b>	<b>1,066.9</b>	<b>-1,887.6</b>	<b>36.1%</b>	<b>157.9</b>	<b>17.4%</b>	<b>9.5%</b>
გადასახადები	808.5	869.7	10,342.3	2,652.8	834.6	-1,818.2	31.5%	-35.1	-4.0%	8.1%
საშემოსავლო გადასახადი	333.1	383.4	3,315.0	796.0	319.2	-476.8	40.1%	-64.2	-16.8%	9.6%
მოგების გადასახადი	62.1	92.9	951.0	455.0	96.2	-358.8	21.1%	3.3	3.5%	10.1%
დღგ	410.9	340.4	4,347.3	997.9	293.8	-704.1	29.4%	-46.6	-13.7%	6.8%
აქციზი	159.4	68.6	1,582.0	223.4	81.9	-141.5	36.6%	13.3	19.4%	5.2%
იმპორტის გადასახადი	5.5	5.8	77.0	20.5	4.4	-16.1	21.6%	-1.4	-23.5%	5.8%
სხვა გადასახადები	-162.5	-21.3	70.0	160.0	39.2	-120.8	24.5%	60.5	-283.5%	56.0%
გრანტები	135.1	3.8	286.9	189.0	168.8	-20.3	89.3%	165.0	4394.1%	58.8%
სხვა შემოსავლები	30.0	35.5	550.0	112.7	63.5	-49.1	56.4%	28.0	78.8%	11.6%
არაფინანსური აქტივების კლება	1.8	0.4	150.0	32.0	0.4	-31.6	1.3%	0.0	-2.3%	0.3%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	2.8	18.8	150.0	18.1	18.8	0.7	103.6%	-0.1	-0.4%	12.5%
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>-38.9</b>	<b>254.4</b>	<b>5,278.9</b>	<b>1,404.2</b>	<b>96.5</b>	<b>-1,307.8</b>	<b>6.9%</b>	<b>-157.9</b>	<b>-62.1%</b>	<b>1.8%</b>
საგარეო	7.6	214.9	5,278.9	1,404.2	398.6	-1,005.6	28.4%	183.7	85.5%	7.6%
საშინაო	-46.6	39.5	0.0	0.0	-302.2	-302.2		-341.6	-865.2%	
<b>გადასახდელები</b>	<b>910.1</b>	<b>1,058.9</b>	<b>18,384.5</b>	<b>4,302.4</b>	<b>1,280.8</b>	<b>-3,021.7</b>	<b>29.8%</b>	<b>221.9</b>	<b>21.0%</b>	<b>7.0%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>721.9</b>	<b>859.0</b>	<b>12,758.3</b>	<b>3,462.6</b>	<b>1,013.1</b>	<b>-2,449.5</b>	<b>29.3%</b>	<b>154.1</b>	<b>17.9%</b>	<b>7.9%</b>
შრომის ანაზღაურება	118.9	118.6	1,614.7	421.5	136.6	-284.9	32.4%	18.0	15.2%	8.5%
საქონელი და მომსახურება	69.6	82.1	1,606.7	456.6	94.1	-362.5	20.6%	11.9	14.5%	5.9%
პროცენტი	90.1	102.0	918.0	208.4	100.5	-107.9	48.2%	-1.5	-1.5%	11.0%
სუბსიდიები	18.5	43.2	649.7	241.4	52.6	-188.8	21.8%	9.4	21.6%	8.1%
გრანტები	24.2	37.8	790.6	173.6	38.7	-134.9	22.3%	0.9	2.4%	4.9%
სოციალური უზრუნველყოფა	300.5	372.7	5,361.9	1,460.7	436.8	-1,023.9	29.9%	64.1	17.2%	8.1%
სხვა ხარჯები	100.0	102.5	1,816.7	500.3	153.7	-346.6	30.7%	51.2	49.9%	8.5%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>113.3</b>	<b>93.3</b>	<b>2,416.9</b>	<b>429.1</b>	<b>141.2</b>	<b>-287.9</b>	<b>32.9%</b>	<b>47.9</b>	<b>51.4%</b>	<b>5.8%</b>
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	5.4	4.8	402.7	125.7	7.5	-118.1	6.0%	2.8	58.2%	1.9%
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>69.4</b>	<b>101.8</b>	<b>2,806.6</b>	<b>285.0</b>	<b>118.9</b>	<b>-166.1</b>	<b>41.7%</b>	<b>17.1</b>	<b>16.8%</b>	<b>4.2%</b>
საგარეო	69.4	99.7	2,763.7	272.2	97.3	-174.9	35.7%	-2.4	-2.4%	3.5%
საშინაო	0.1	2.1	42.8	12.8	21.7	8.8	168.7%	19.5	917.0%	50.6%
<b>ნაშთის ცვლილება</b> (+ დაბრუნება / - გამოყენება)	<b>29.1</b>	<b>123.7</b>	<b>-1,626.4</b>	<b>106.4</b>	<b>-98.2</b>	<b>-204.6</b>		<b>-221.9</b>		

\* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განწერის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 31 დეკემბრის №333 ბრძანება)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2019 წლის 1 თვის შესრულება	2020 წლის 1 თვის შესრულება	2021 წლის წლიური გეგმა	2021 წლის 3 თვის გეგმა	2021 წლის 1 თვის შესრულება	2021 წლის 1 თვის შესრულება / 2021 წლის 3 თვის გეგმა		2021 წლის 1 თვის შესრულება / 2020 წლის 1 თვის შესრულება		2021 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %
						სხვაობა	%	სხვაობა	%-ული ცვლილება	
<b>შემოსავლები</b>	<b>973.6</b>	<b>909.0</b>	<b>11,179.2</b>	<b>2,954.5</b>	<b>1,066.9</b>	<b>-1,887.6</b>	<b>36.1%</b>	<b>157.9</b>	<b>17.4%</b>	<b>9.5%</b>
გადასახადები	808.5	869.7	10,342.3	2,652.8	834.6	-1,818.2	31.5%	-35.1	-4.0%	8.1%
გრანტები	135.1	3.8	286.9	189.0	168.8	-20.3	89.3%	165.0	4394.1%	58.8%
სხვა შემოსავლები	30.0	35.5	550.0	112.7	63.5	-49.1	56.4%	28.0	78.8%	11.6%
<b>ხარჯები</b>	<b>721.9</b>	<b>859.0</b>	<b>12,758.3</b>	<b>3,462.6</b>	<b>1,013.1</b>	<b>-2,449.5</b>	<b>29.3%</b>	<b>154.1</b>	<b>17.9%</b>	<b>7.9%</b>
შრომის ანაზღაურება	118.9	118.6	1,614.7	421.5	136.6	-284.9	32.4%	18.0	15.2%	8.5%
საქონელი და მომსახურება	69.6	82.1	1,606.7	456.6	94.1	-362.5	20.6%	11.9	14.5%	5.9%
პროცენტი	90.1	102.0	918.0	208.4	100.5	-107.9	48.2%	-1.5	-1.5%	11.0%
სუბსიდიები	18.5	43.2	649.7	241.4	52.6	-188.8	21.8%	9.4	21.6%	8.1%
გრანტები	24.2	37.8	790.6	173.6	38.7	-134.9	22.3%	0.9	2.4%	4.9%
სოციალური უზრუნველყოფა	300.5	372.7	5,361.9	1,460.7	436.8	-1,023.9	29.9%	64.1	17.2%	8.1%
სხვა ხარჯები	100.0	102.5	1,816.7	500.3	153.7	-346.6	30.7%	51.2	49.9%	8.5%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>251.6</b>	<b>50.0</b>	<b>-1,579.1</b>	<b>-508.1</b>	<b>53.9</b>	<b>561.9</b>	<b>-10.6%</b>	<b>3.8</b>	<b>7.7%</b>	<b>-3.4%</b>
არაფინანსური აქტივების ცვლილება	111.5	92.9	2,266.9	397.1	140.8	-256.3	35.5%	47.9	51.6%	6.2%
ზრდა	113.3	93.3	2,416.9	429.1	141.2	-287.9	32.9%	47.9	51.4%	5.8%
კლება	1.8	0.4	150.0	32.0	0.4	-31.6	1.3%	0.0	-2.3%	0.3%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>140.1</b>	<b>-42.9</b>	<b>-3,846.1</b>	<b>-905.2</b>	<b>-87.0</b>	<b>818.2</b>	<b>9.6%</b>	<b>-44.1</b>	<b>102.8%</b>	<b>2.3%</b>
ფინანსური აქტივების ცვლილება	31.7	109.6	-1,373.7	213.9	-109.4	-323.4	-51.2%	-219.1	-199.8%	8.0%
ზრდა	34.5	128.5	402.7	232.0	7.5	-224.5	3.2%	-120.9	-94.1%	1.9%
ვალუტა და დეპოზიტები	29.1	123.7	0.0	106.4	0.0	-106.4	0.0%	-123.7	-100.0%	
სესხები	5.4	4.8	402.7	125.7	7.5	-118.1	6.0%	2.8	58.2%	1.9%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
<b>კლება</b>	<b>2.8</b>	<b>18.8</b>	<b>1,776.4</b>	<b>18.1</b>	<b>117.0</b>	<b>98.9</b>	<b>646.3%</b>	<b>98.2</b>	<b>521.2%</b>	<b>6.6%</b>
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	1,626.4	0.0	98.2	98.2		98.2		6.0%
სესხები	2.8	18.8	150.0	18.1	18.8	0.7	103.6%	-0.1	-0.4%	12.5%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0003	0.0	0.0	0.0	0.0	0.0		0.0		
<b>გაღმავალ შემოსავლების ცვლილება</b>	<b>-108.4</b>	<b>152.5</b>	<b>2,472.4</b>	<b>1,119.2</b>	<b>-22.5</b>	<b>-1,141.6</b>	<b>-2.0%</b>	<b>-175.0</b>	<b>-114.7%</b>	<b>-0.9%</b>
ზრდა	-38.9	254.4	5,278.9	1,404.2	96.5	-1,307.8	6.9%	-157.9	-62.1%	1.8%
საშინაო	-46.6	39.5	0.0	0.0	-302.2	-302.2		-341.6	-865.2%	
საგარეო	7.6	214.9	5,278.9	1,404.2	398.6	-1,005.6	28.4%	183.7	85.5%	7.6%
<b>კლება</b>	<b>69.4</b>	<b>101.8</b>	<b>2,806.6</b>	<b>285.0</b>	<b>118.9</b>	<b>-166.1</b>	<b>41.7%</b>	<b>17.1</b>	<b>16.8%</b>	<b>4.2%</b>
საშინაო	0.1	2.1	42.8	12.8	21.7	8.8	168.7%	19.5	917.0%	50.6%
საგარეო	69.4	99.7	2,763.7	272.2	97.3	-174.9	35.7%	-2.4	-2.4%	3.5%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		<b>0.0</b>		

### დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2021 წლიური გეგმა	2021 წლის 3 თვის გეგმა	2021 წლის 1 თვის შესრულება	2021 წლის 1 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	2021 წლის 1 თვის შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
00 00	სულ ჯამი	18,384.5	4,302.4	1,280.8	7.0%	29.8%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	64.7	16.1	3.7	5.8%	23.2%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	53.7	13.2	3.1	5.7%	23.2%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხებდველო საქმიანობა	19.7	5.0	1.1	5.8%	23.0%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	6.7	1.7	0.4	5.8%	23.0%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	27.4	6.6	1.5	5.6%	23.4%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	27.3	6.5	1.5	5.6%	23.4%
01 01 03 02	პერსონალის პროფესიული განვითარება	0.1	0.0	0.0	5.0%	19.6%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	9.6	2.4	0.6	6.1%	23.9%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.5	0.2	0.0	5.8%	17.2%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.0	0.3	0.1	5.5%	21.9%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	6.3	2.1	0.5	8.5%	25.5%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	0.7	0.2	0.0	6.0%	23.9%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	16.0	4.1	0.9	5.7%	22.3%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	16.8	4.8	1.0	6.1%	21.4%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	70.3	8.7	2.0	2.8%	22.8%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	13.8	3.4	0.9	6.4%	25.7%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1.3	0.3	0.1	4.7%	22.5%
06 03	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	14.3	3.6	1.0	7.3%	29.3%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	40.8	1.5	0.0	0.0%	0.0%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4.3	1.1	0.3	6.0%	23.2%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	12.5	3.2	0.6	5.0%	19.8%
09 00	საერთო სასამართლოები	86.0	18.5	4.5	5.2%	24.2%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	84.1	18.0	4.4	5.2%	24.4%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1.9	0.5	0.1	4.4%	18.2%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	6.5	1.8	0.3	5.0%	17.7%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	0.9	0.2	0.1	6.1%	23.9%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.2	0.0	6.4%	26.9%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	0.8	0.2	0.0	6.0%	22.5%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	0.8	0.2	0.0	6.1%	24.1%

15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.2	0.0	6.6%	24.8%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, თნისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	0.6	0.2	0.0	5.5%	20.1%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.2	0.0	7.1%	28.7%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	0.9	0.2	0.1	6.3%	23.1%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	0.7	0.2	0.0	5.5%	21.1%
20 00	<b>საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური</b>	<b>137.5</b>	<b>35.3</b>	<b>10.6</b>	<b>7.7%</b>	<b>30.0%</b>
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	118.0	29.6	9.2	7.8%	31.0%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	18.5	5.4	1.4	7.3%	25.2%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	1.0	0.3	0.0	3.6%	11.9%
21 00	<b>სსიპ – საპენსიო სააგენტო</b>	<b>3.4</b>	<b>1.3</b>	<b>0.3</b>	<b>8.6%</b>	<b>21.8%</b>
22 00	<b>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b>	<b>2.6</b>	<b>0.6</b>	<b>0.1</b>	<b>4.9%</b>	<b>21.3%</b>
23 00	<b>საქართველოს ფინანსთა სამინისტრო</b>	<b>88.9</b>	<b>34.2</b>	<b>10.5</b>	<b>11.8%</b>	<b>30.6%</b>
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	18.7	4.6	1.0	5.3%	21.8%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	40.0	22.1	7.5	18.7%	33.8%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	21.5	5.6	1.5	7.1%	27.3%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	6.8	1.4	0.3	4.8%	23.3%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	0.9	0.3	0.1	7.8%	22.8%
23 06	ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	1.1	0.3	0.1	7.1%	27.8%
24 00	<b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>	<b>606.8</b>	<b>232.2</b>	<b>22.0</b>	<b>3.6%</b>	<b>9.5%</b>
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	13.5	2.5	0.9	6.6%	35.0%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1.5	0.4	0.1	7.2%	28.8%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.0	0.4	0.1	9.4%	22.4%
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	0.1	0.0	0.0	25.0%	100.0%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	7.7	1.7	0.3	3.3%	15.3%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	60.1	8.1	0.0	0.0%	0.1%
24 07	მენარმეობის განვითარება	302.2	150.3	2.8	0.9%	1.9%
24 07 01	მენარმეობის განვითარების ადმინისტრირება	3.2	0.8	0.2	7.2%	28.9%
24 07 02	მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა	34.0	10.7	2.6	7.7%	24.3%
24 07 03	ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე, ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებები	265.0	138.8	0.0	0.0%	0.0%
24 07 03 01	სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა	35.0	8.8	0.0	0.0%	0.0%
24 07 03 02	მიკრო და მცირე მენარმეობის ხელშეწყობა – მცირე გრანტები	15.0	15.0	0.0	0.0%	0.0%
24 07 03 03	საკრედიტო საგარანტიო სქემა	50.0	30.0	0.0	0.0%	0.0%
24 07 03 05	კომუნალური გადასახადების სუბსიდირების ხელშეწყობის ღონისძიებები	165.0	85.0	0.0	0.0%	0.0%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	28.7	1.9	0.1	0.3%	5.0%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.6	0.2	0.0	7.4%	28.2%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	3.0	0.6	0.0	0.0%	0.0%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	8.0	3.0	0.0	0.0%	0.0%

24 12	საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)	17.6	5.4	0.1	0.4%	1.3%
